პასუხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის განცხადებაზე

არ ვეთანხმები წარმოდგენილ განცხადებას და აღვნიშნავ რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას.

როგორც ინფორმაცია გაქვთ მოწოდებული, თქვენთან შემოსულია მხოლოდ საქართველოს უნივერისტეტის განცხადება, და არა უშუალოდ შპს „იუჯი წიგნები"-ს. მაშინ როდესაც სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს.

სიუჟეტში, ნათლად და ზუსტად არის მითითებული რომ შპს იუჯი წიგნების შესახებ ძიება განხორციელდა google-ს საძიებო სისტემაში, სადაც ამ კონკრეტულ კომპანიის საქმიანობაზე არ იძებნება რაიმე სახის ინფორმაცია. სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია კადრი https://www.08.ge/organizations/view/12320671 საიტიდან **[ინფორმაცია აღნიშნულ საიტზე დღეისმდგომარეობითაც არ არის დაკორექტირებული].** მოგეხსნებათ, საჯარო რეესტრში კომპანიის ფაქტობრივი მისამართის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ ხორციელდება (ვინაიდან უშუალოდ კომპანიები ზოგადად არ აფიქსირებენ). იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები კი შინაარსობრივად განსხვავდება. სწორედ, იმიტომ რომ დადგენილიყო ამ კომპანიის ფაქტობრივი მისამართი ამისთვის განხორციელდა ძიება google.com მეშვეობით.

სიუჟეტში სიტყვიერად ასევე გაჟღერებულია, რომ იმ მისამართზე განხორციელდა ვიზიტი **რაც ინტერნეტში იყო მოძიებული** [ნაჩვენებია 08.ge ვებ-გვერდის კადრი, კერძოდ მისამართის ველიც - თბილისი / (კრწანისი) პუშკინი ალექსანდრეს ქ. -10]. შესაბამისად, იუჯი წიგნებმა მიმართოს და გაარკვიოს რატომ არის მითითებული მონაცემთა ბაზაში მათი მისამართი არასწორად.

რაც შეეხება, „ბურუსით მოცულ შპს იუჯი წიგნებს". ამავე კომპანიის დასახელებიდან და ვინაიდან დაფუძნებულია უნივერისტეტის მიერ, ნებისმიერი პირისთვის შპს იუჯი წიგნების საქმიანობა ასოცირებას იწყებს წიგნებთან და საგამომცემლო საქმიანობასთან. როგორც სიუჟეტში ნახავდით, ამ შპს-ზე რეგისტრირებულია უამრავი უძრავი ქონება და ამავდროულად აქვს რეალიზებული სხვადასხვა ქონებები.

განმცხადებელი ცდილობს კონტექსტიდან ამოღებული ნაწილით იმსჯელოს, თუმცა რეალურ ფაქტებზე არ აკეთებს არანაირ კომენტარს ან/და მითითებას [ამ შემთხვევაში უძრავ ქონებებთან ან/და საქმიანობასთან დაკავშირებით]. ბურუსით მოცული სწორედ ამ კომპანიის „საქმიანობას" ეხება.

შესაბამისად, ყოვლად უსაფუძვლოა განმცხადებლის მითითება ჟურნალისტის მხრიდან ფაქტის დამახინჯებასთან დაკავშირებით. სიუჟეტი დაფუძნებულია ფაქტებზე და ეს ფაქტები დაფიქსირებულია.

წარმოდგენილი განცხადება უსაფუძვლოა.